



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ვარძია“

„ვარძია“, ნახშირორჟანგიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმისანი სამკურნალო მინერალური წყალი. საბადო მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ნაქალაქევში. საბადო დაკავშირებულია პალეოგენურ ვულკანოგენურ ქანებთან ფიქსირებული ანტიკლინის სამხრ. ფრთასთან, სადაც ზედაცარცული კარბონატული ქანებიცაა გავრცელებული. წყლის ქიმ. შედგენილობა:

$2_{\text{Ca}}^{2+} - 6_{\text{Mg}}^{2+} - 2_{\text{SO}_4}^{2-} = 3_{\text{HCO}_3}^{-}$

წყალში აღმოჩენილია ბიოლოგიურად აქტ. მიკროკომპონენტები: ბრომი, იოდი, სილიციუმმჟავა, დარიშხანა (1,5-6,0 მგ/ლ). ტემპ-რა 37-46°C. მას იყენებენ ჩამოსასხმელად, აბაზანების მისაღებად, ქრონ. გასტრიტის (სეკრეტორული უკმარისობით), ქრონ. კოლიტის, პანკრეატიტის, ნივთიერებათა ცვლის დაავადებათა (შაქრიანი დიაბეტი, ოქსალურია, შარდმჟავა დიათეზი), სხვადასხვა წარმოშობის სისხლნაკლებობისა და სხვათა სამკურნალოდ.

ტ. ჩიჩუა

ვ. ჯალიაშვილი
